საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №11

20 13 წ. "26" 03

ქ. თბილისი

შპს - №1 სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - №1 სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 212690729) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 530-ით.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26 მარტის №4 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
გაიანე სიმონია